საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციისამაღლება:

სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა 51 უნიკალური სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა 1.336 მსმენელი.

ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა პროფესიული ტესტირებების ორგანიზების გზით ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის:

ფინანსთა სამინისტროს სისტემისათვის ჩატარდა 20 ტესტირება (217 აპლიკანტი). სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის 4 ტესტირება (168 აპლიკანტი).

ტრენინგების ორგანიზება დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის, ფიზიკურიპირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფიორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლებისმიზნით:

- კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა 57 დასახელების პროექტი და გადამზადდა 3,651 მსმენელი.

- ამასთანავე, საჯარო სექტორში სახელმწიფო ფინანსების მართვისა და აღრიცხვის რეფორმის საბიუჯეტო ორგანიზაციებში საერთაშორისო სტანდატრების დანერგვის ფარგლებში გადამზადდა 1,740 მსმენელი.

საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით:

- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს ქალთა ორგანიზაციაის (UN WOMEN) თანამშრომლობით ჩატარდა სასწავლო და ტრენინგ კურსები შემდეგ თემებზე: „როგორ ვმართოთ ბიზნესი“,„საინვესტიციო წინადადების მომზადება და წარდგენა“, ”დათვალე შენი ბიზნესი“ (197 მსმენელისთვის) და დასავლეთ საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და ფონდი ტასოს ბენეფიციარი, აკადემიის კურსდამთავრებულებისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები- რეგისტრირებული - 176 მსმენელი.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა 2 სასწავლო კურსი თემებზე - „ფინანსური

ჩართულობა და ფინანსური მდგრადობა (თბილისი) და „საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (ბათუმი), რომლები მიზნად ისახავდა მონაწილეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებას, სახელმწიფო ვალის მართვის გამოცდილების გაზიარება” და ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა- უნარების განვითარებისთვის. სულ საერთშორისო პროექტების მიმართულებით 106 მსმენელი

- სხვადასხვა უნივერსიტეტის შერჩეულ სტუდენტებთან, დასაქმების ხელშეწყობის სოციალური პროექტის ფარგლებში ტარდება სასწავლო კურსები „ფინანსების მართვის პრინციპები კერძო სექტორში“ „ციფრული მარკეტინგი“ (62 მსმენელი)

<u>დასახული საბოლოო შედეგები:</u>

- ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემა ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;
- ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;
- საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;
- საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით

<u>მიღწეული საბოლოო შედეგი:</u>

- ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემა ასევე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;
- ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;
- საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან

დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;

- საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა** საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით ასევე სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად (მუდმივი პროცესი);

- 2019 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 2163 თანამშრომელი
- 2020 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1,336 თანამშრომელი;
- მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის 5%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით.
- ფაქტიური შედეგი - გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 48%-ით.

მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოში კოვიდ 19- ის წინააღმდეგ განხორციელებული შეზღუდვების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა რიგი ტრენინგები რომლებიც გულისხმობს აუდიტორიაში და პირისპირ განხორციელებას. შესაბამისად საქართველოში, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე შემოღებული შეზღუდვების გათვალისწინებით აღნიშნული ტრენინგების ორგანიზება ვერ მოხერხდა.

2. *ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების და საჯარო და კერძო სექტორისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა*

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების ასევე უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი) აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს აკადემია ახორციელებს ტესტირებას და შეფასებას მოთხოვნის საფუძველზე.

2019 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 35 ტესტირება 1732 აპლიკანტისათვის.

2020 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 24 ტესტირება 385

აპლიკანტისათვის.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით

ფაქტიური შედეგი - ფაქტიურად ჩატარებული ტესტირების რაოდენობა შემცირდა 31%-ით, ხოლო აპლიკანტების რაოდენობა შემცირდა 78 %-ით.

ტესტირების პროცესი ვინაიდან გულისხმობს მონაწილეების დახურულ სივრცეში ყოფნას, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე აკძალვების შესაბამისად, აკადემია მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ტესტირების პროცესი.

3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული კადრების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის ასევე კერძო სექტორისთვის 2019 წელს აკადემიაში გადამზადდა 148 დაინტერესებული ადამიანი.

2020 წელს აკადემიაში გადამზადდა 1,740 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა (11,7-ჯერ) 1,176%-ით.

4. ***<u>საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა</u>***
   საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ტრენინგებს დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის ფიზიკური პირებისთვის კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2019 წელს აკადემიაში გადამზადდა 4333 დაინტერესებული პირი.

2020 წელს აკადემიაში გადამზადდა 3,651 დაინტერესებული ადამიანი; მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 15 %-ით.

საჯარო სექტორის გადამზადებულ პირთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის მიერ ინიცირებული

რეფორმა.

საერთო ჯამში რეფორმის ფარგლებში და დანარჩენ სასწავლო და ტრენინგ კურსებზე გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობა 2020 წელს შეადგინა 5,391 დაინტერესებული ადამიანი;

ფაქტიური შედეგი (მე-3 და მე-4 პუნქტი) - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 20 %-ით.

5. *საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებისრაოდენობა*

საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 654 პირი.

2020 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 541 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით

ფაქტიური შედეგი - გადამზადებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 17 %-ით.

გადამზადებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიზეზს წარმოადგენს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე საერთაშორისო ფრენების შეზღუდვა. პარტნიორი ორგანიზაციების ერთობლივი გადაწყვეტილებით (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ევროპის საბჭო), მოხდა 2020 წელს განსახორციელებელი ტრენინგების თარიღის ცვლილება მანამ სანამ არ შეწყდება გლობალური პანდემია.